ცნობის ფურცელი

№ 2387 პარასკევი, 23 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2387

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 23 იანვარს, 1904 წ., ვ. ა. სელიავინის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

გალკა

ოპერა 5 მოქ. მუს. მონიუშკოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ფერტიგ, ჩემესოვა; ბ-ნნი რაისკი, სელიავინი, ევლახოვი, სანგურსკი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 24 იანვ. რაისკის საბენეფისოდ —„ევგენი ონეგინ‘; 25 იანვ. გლადკოვის ბენ.—„ოტელო“; 26 იანვ. წარმ. არ იქმნება.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. და კანისა 0 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 0—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ბრ. მ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. გ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. მიქინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან [illegible].

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—38)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

„რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მთავრობამ რუსეთის ელჩს ბარონ როზენს შეატყობინა, პეტერბურგის [illegible] ვრობას პასუხის [illegible] ჩქარებინოთო. ჩვენი ნოტა პეტერბურგში 3 იანვარს მიიღეს და აქამდე პასუხი რით ვერ შეადგინესო.

ვენის ოფიციოზურ გაზ. „პოლიტიშე კორესპონდენც“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთი კორეიაში იმდენს დაუთმობს იაპონიას, რომ ტოკიოს მთავრობა ომს ველარ გამოუცხადებს. მანჯურიის საქმეში კი რუსეთი მეტს აღარას დასთმობს.

რეიტერის სააგენტო იუწყება: რუსეთი ბევრს ჯარს აგროვებს კორეის საზღვარზე. ეს ამბავი ძლიერ აღელვებს იაპონელებს.

„დეილი გრაფიკ“-ი იუწყება: 14 იანვარს, ოთხშაბათს, რუსეთის მთავრობამ უკანასკნელი საბოლოო თათბირი მოახდინა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზეო.

„ტაიმს“-ი სწერს: რუსეთის მთავრობამ თათბირი 14 იანვარს კი არა, 15-ს მოახდინაო. მაგრამ რუსეთს მორიგება სულაც არა სწადიან, პირიქით პეტერბურგის მთავრობა სულ იმის ცდაშია, რომ იაპონიასთან განხეთქილება ჩამოაგდოსო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: „ჯერ არავინ იცის ნამდვილად, რ[illegible] პასუხს გაუგზავნის რუსეთი იაპონიას. ჯერ ეს პასუხი დაწერილი არაა. რუსეთ[illegible] პასუხის ორი მუხლი კი ეხლავე საბოლოოდ აქვს შედგენილი. 1. რუსეთი ბეჯითად აცხადებს, ეს ნოტა უკანასკნელი იქნება. ამ ნოტის ჩააბარების შემდეგ რუსეთი მეტს აღარას დაუთმობს იაპონიას. 2. რუსეთი არაფრით გულისათვის ნებას არ მისცემს იაპონელებს, რომ მოზამპოს ნავთ-სადგურში სიმაგრე ააშენონ.

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდან: აქ დარწმუნდნენ, რომ მალე უეჭველად ომი მოხდება. ტოკიოდან დეპეშა მოვიდა, რუსეთს შანჰაიგუანის აღმოსავლეთით ჩინეთის რკინის გზის დაჭერა სწადიანო. იაპონიის სამხედრო და მეზღვაურთა წრეები ბეჯითად ემზადებიან. ხალხი ყოველ წამს ომის გამოცხადებას მოელის.

ფრანგული გაზ. „პატრი“ სწერს: პარიზში იაპონიის პრინცი ტატბა მოვიდა დელკასესა და ლუბესთან მოსალაპარაკებლად.

„ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: 16 იანვარი. მანჯურიაში დანიშნულს სამს ამერიკელ კონსულს პრეზიდენტმა რუზველტმა უბრძანა, დაუყოვნებლივ მანჯურიის წადით და თქვენის მოვალეობის ასრულებას შეუდექითო.

„ნოვოე ვრემია“-ს ტოკიელი კორესპონდენტი იწერება: იაპონელები მრავალ თხოვნას უგზავნიან იმპერატორს. რუსეთის წინააღმდეგი პარტია და სხვა და სხვა პოლიტიკური კლუბები მთავრობას პროტესტს უცხადებენ და უფრო გაბედულ, მედგარ საგარეო პოლიტიკას თხოულობენ. პოლიტიკური პარტიები ყველგან კრებებს ახდენენ და ადგენენ, ახალ არჩევნის დროს, 1 მარტს, ვეცადნეთ, ისევ ჩვენი წინანდელი კანდიდატები ავირჩიოთო. რუსეთის წინააღმდეგი გაზეთებიც ომის გამოცხადებას თხოულობენ. გაზ. „დემპო სიმპუნ“-ი სწერს: „უკანასკნელი წამი დადგა. უსათუოდ ომი უნდა გამოვუცხადოთ რუსეთსაო“. იაპონელები დარწმუნებულნი არიან, ომი რუსეთს უფრო მეტს ზარალს მოუტანს, ვიდრე იაპონიასაო.

ოსმალეთი ბოლგარიას უჩივის

დეპეშებიდან გვეცოდინებათ, რომ ოსმალეთის მთავრობა ბოლგარიას უჩივის, ჩემთან სომრად ემზადება, მაკედონელ რევოლიუციონერებს ეხმარება და ამით რეფორმების არულებას მიშლისო. ამ დღეებში ოსმალეთის მთავრობამ ავსტრიისა და რუსეთის ელჩებს კიდევ გადასცა ქაღალდი, სადაც ჩამოთვლილია ბოლგარიისა და მაკედონელ კომიტეტის მრავალი ცოდვა და დანაშაული. ამ ქაღალდში ნათქვამია: მაკედონელმა კომიტეტმა ოხრიდაში აგენტები გაგზავნა ხალხის ასაჯანყებლადაო. ოხრიდაში მალე ოთხი ბოლგარი ოფიცერიც უნდა მივიდეს. ეს ოფიცრები აჯანყებულ ხალხს მეთაურობას გაუწევენო. ოსმალეთის მთავრობა ირწმუნება, კომიტეტის აგენტები მდიდარ ქრისტიანებს ფულს ართმევენ იარაღის საყიდლადაო. თითონ ოხრიდის მიტროპოლიტიც კი მონაწილეობას იღებს რევოლიუციონურ პროპაგანდაში; მიტროპოლიტის ეზოში, ისე როგორც ყველგან, დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალაა დამალულიო.

ოსმალეთი ამ საჩივრებით თავს იმართლებს სახელმწიფოებთან: რეფორმებს აქამდე შემოვიღებდი, მაგრამ ბოლგარია და მაკედონელი კომიტეტი მიშლიან ხელსაო. ნამდვილად-კი ოსმალეთი განგებ საქმეს აჭიანურებს, უნდა დრო მოიგოს. ამბობენ, ოსმალეთის მთავრობასაც დიდი იმედი აქვს რუსეთ-იაპონიის დავისაო. ოსმალები ჰფიქრობენ, იქმნება იაპონიამ ჩვენც გვიხსნას გაჭირვებისაგან და ეს რაღაც უბედური რეფორმები თავიდან აგვაცილოსო.

ბოლგარიის მზადება საომრად

ბოლგარია და მაკედონელები კი სულ სხვას მოელიან შორეულ-აღმოსავლეთის საქმისაგან. ამათის აზრით, თუ აღმოსავლეთ აზიაში მოხდა რამე, წამებულ მაკედონიას უსათუოდ ეშველება, უეჭველად ავტონომია ეღირსება. მაკედონელები მაინც აპირებენ გაზაფხულზე აჯანყებას, გინდ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მორიგებითაც გათავდეს, ყველაფრიდან სჩანს, რომ ბოლგარიაც დიდ სამხედრო მზადებაშია. „ნოიე ფრაიე პრესე“-ს კორესპონდენტი იუწყება: „1 იანვარს შემდეგ ბოლგარიამ ახალი სამხედრო წესები შემოიღო. ამას იქით ბოლგარიას გაცილებით მეტი ჯარი ეყოლება, ვიდრე აქამდე ჰყავდა. ექვსის დივიზიის ნაცვლად ცხრა ეყოლება, რადგან 12 სათადარიგო პოლკი მომქმედ ჯარად გადააქცია. ამ რეფორმის გამო ხმაც-კი გავრცელდა, ვითომ ბოლგარიის ოფიცრობას აჯანყება მოეხდინოს, ჯარის მომატება და ახალ უფროსების დანიშვნა მოეთხოვოს. ვითომ პოლკოვნიკი რადკო დიმიტრიევიც ამ ოფიცრების მოთხოვნილებით დაენიშნოთ შტაბის უფროსად. ეს ტყუილი ხმაა, მაგრამ ბოლგარიის ჯარის გაძლიერება და ახალ უფროსების დანიშვნა კი ნამდვილი ამბავია. ამ რეფორმებით ბოლგარიამ ცხადად დაამტკიცა, რომ გაზაფხულისათვის დიდ ამბებს ელის და ამ ამბებში მონაწილეობის მიღებას თითონაც აპირებს.“

ავსტრიის იმპერატორის საუბარი დეპუტატებთან

ვენის სამეფო სასახლეში ბალის დროს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უთხრა, თურმე, რეიხსრატის ვიცე-პრეზიდენტს გერმანელს კაიზერს: „არ მესმის, გერმანელებს რად ეწყინათ ასე სამხედრო მინისტრის განკარგულება ადგილობრივ ენების შესწავლაზე.“ კაიზერმა უპასუხა: იმიტომ რომ ამ განკარგულების ძალით, უნტერ-ოფიცრობის მისაღებად გერმანულ ენის ცოდნა საჭირო აღარ იქმნებაო. იმპერატორმა მიუგო: „ასე ყოფილა ყოველთვის, ამ წესის გამოცვლა შეუძლებელი საქმეა“. კაიზერმა განაგრძო: „ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ ბოლოს გერმანული ენის ცოდნა სათადარიგო ოფიცრებსაც აღარ მოსთხოვონო. ამაზე იმპერატორმა უპასუხა: „მეც მეშინიან, ვაი თუ ავსტრიის რეიხსრატმა მუშაობა ველარ შეიძლოსო“. მეორე ვიცე-პრეზიდენტს ჩეხს ჟაჩეკს იმპერატორმა უთხრა: იმედი მაქვს, მორავიის საპარლამენტო კომისია გერმანელებსა და ჩეხებს შეარიგებს და სხვებსაც კარგ მისაბაძ მაგალითს უჩვენებსო. ჟაჩეკმა შეჰნიშნა: გერმანელებსაც და ჩეხებსაც ძლიერ გაუხარდებოდათ, იმპერატორმა რომ თითონ უმაღლესის ბრძანების ძალით გადასწყვიტოს გერმანელებისა და ჩეხების ეროვნული დავაო. იმპერატორმა ღიმილით მიუგო: დიახაც კარგი იქმნებოდა, მაგრამ ჩვენს დროში გაგონება და მორჩილება აღარსადაა. ორსავ ერს სულ სხვა-დასხვა, ერთმანერთის წინააღმდეგი სურვილი აქვთ: გერმანელებსაც ნამეტანი დიდი სურვილი აქვთ, ჩეხებსაც“.

ჯარის კაცების შეთქმულობა ჰუნგრეთში

„ნოიე ფრაიე პრესე“ იუწყება: ჰუნგრეთის პარლამენტის პრეზიდენტს უსახელო წერილი მოჰსვლია ერთის ჯარის-კაცისაგან. უცნობი კორესპონდენტი შემდეგს ასაღელვებელ ამბავს ატყობინებს პრეზიდენტს:

„ცხენოსან ჯარის-კაცებში ბევრს ჯავრი მოუვიდა, სამის წლის ვადის შესრულების შემდეგ სამსახურში რად დაგვტოვესო, ადგნენ და შეთქმულობა გაჰმართეს ოპოზიციის რამდენისამე წევრის მოსაკლავად, რადგან შეთქმულების აზრით, სულ ამ დეპუტატების ბრალია, რომ ვადა-შესრულებული ჯარის კაცები დღემდე კაზარმებში იტანჯებიან. ერთს შეთქმულ ჯარის კაცს ოპოზიციის დეპუტატების სიაც აქვს დაწერილი. ჯარის-კაცი“.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში (საზღვარ-გარედ, გვერდი პირველი, სვეტი მეორე) შეცდომით დაბეჭდილია: „ავტორი თავის წერილს ასე ახასიათებს“. უნდა იყოს:... „ასე ათავებს“.

* * *

მთავრობის განკარგულება

(დასასრული *)

გამოირკვა, რომ ტვერის საგუბერნიო ერობის მოხელეთა შორის იყვნენ დიდძალი პირები არა საიმედო პოლიტიკურ მიმართულებისა, რადგან საერობო გამგეობას აღმასრულებელი და განმკარგულებელი უფლებანი გადავიდა ისეთ დაწესებულებას ხელში, რომელნიც დაქირავებულ მოხელეთაგან შესდგებიან, და ამ დაწესებულებით თანდათან უფრო მეტი გავლენა შეიძინეს საერობო საქმეთა მსვლელობაზე საზოგადოდ და თანამდებობის პირების დანიშვნაზე კერძოდ. ამ მხრივ საგანგებო ყურადღების ღირსია სახალხო სკოლების მასწავლებლები მიუხედავად იმისა, რომ ინსპექტორმა არ დაამტკიცა თანამდებობაზე 40 პროცენტი მასწავლებლებისა, რომელნიც გამგეობასთან არსებულ კომიტეტმა წარმოადგინა. ბუნებრივი შედეგი ასეთი პირების სიმრავლისა მაზრაში ის იყო, რომ სასკოლო სწავლება გახდოს არსებულ სახელმწიფო წესწყობილებისა და სარწმუნოების წინააღმდეგ პროპაგანდის იარაღად. როცა ბუნების მეტყველებიდან ჰკითხულობდნენ რასმე სკოლაში, ის აზრი გაჰყავდათ, რომ ღმერთი არ არისო, მსოფლიოში მხოლოდ ბუნების ძალანი მოქმედობენო და სხვა. სხვათა შორის, ნოვოტორჟსკის ერთ მასწავლებლის ბინაზე იპოვეს რევოლიუციონურ გამოცემათა საწყობი და თან გამოირკვა, რომ ამ გამოცემათ ავრცელებდნენ მასწავლებლები მოსწავლეთა შორის და ამათის საშუალებით დიდებშიაც. აღმოაჩინეს, რომ მასწავლებლები უკითხავდნენ მოსწავლეთ ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, რომელნიც მთავრობისა და ეკლესიის წინააღმდეგ აზრებს უნერგავდნენ ბავშვებს; და თუ ნება დართულ წიგნებს ჰკითხულობდნენ, ისეთ გან-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2386.

მარტებას უკეთებდნენ, რომ სახელმწიფოსა და სარწმუნოება-ზნეობის წინააღმდეგ გრძნობებს უმტკიცებდნენ. მაგალითად, პუშკინის „კაპიტანსკაია დოჩკა“-ს კითხვის დროს, უჩვენეს ბავშვებს ბუნდოვანი სურათები, სადაც წარმოდგენილი იყო, ბრბო როგორ ალრჩობდა თავად-აზნაურობას, და თან შესაფერადაც განუმარტეს. რამდენად მტკიცედ ადგნენ სწავლების ასეთ გამრყვნელ მიმართულებას, იქიდან სჩანს, რომ სახალხო სკოლის ბევრ მოსწავლეთა რვეულებში ნახეს ალმაშფოთებელი და თავხედური დაცინვა ეკლესიისა და სამღვდელოებისა. ასეთ მდგომარეობაშია სასკოლო საქმე ტვერის გუბერნიის ზოგ ადგილას და მით უფრო ალსანიშნავია ტვერის საგუბერნიო საერობო კრების წარსულ წლის დადგენილება სასკოლო კითხვის შესახებ ტვერის მაზრაში. ტვერის მაზრის ერობა შუამდგომლობდა, საერობო სკოლები სასულიერო უწყებას გადაეცესო; საგუბერნიო კრება უსაფუძვლოდ შევიდა ამ შუამდგომლობის განხილვაში და დაადგინა მიიღოს მთელი წყება დასასჯელ ღონის ძიებათა სამაზრო ერობის წინააღმდეგ: მოესპოს ტვერის მაზრის სკოლებს კრედიტი მედიკამენტებისა და სასწავლო საგნებისა მას შემდეგ, რაც სასულიერო უწყების სკოლაში გადავა; მოეთხოვოს, რომ დაუყოვნებლივ დაუბრუნონ საგუბერნიო ერობას ყველა ის სესხები, რომელიც კი გაუტანია ერობას სასკოლო აშენებელ თანხიდან, და სხვა: ამასთან საგუბერნიო კრებას კარგად ესმოდა, თუ რამდენად სამძიმო შეიქნებოდა ისეთი დადგენილება ტვერის მაზრის მცხოვრებლებისათვის.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პირობამ და იმ გარემოებამ, რომ ახალ გამგეობის წევრების არჩევანი ტვერის გუბერნიასა და ნოვოტორჟსკის მაზრაში საბუთს არ იძლევა, რომ ნაჩვენები სამწუხარო მოვლენანი აღარ განმეორდებიან, აიძულეს შინაგან საქმეთა მინისტრი წარედგინა მის უდიდებულესობისათვის უქვეშევრდომილესი მოხსენება; მინისტრი საჭიროდ სცნობდა: 1) მიენდოს მინისტრს, დანიშნოს მომავალის სამის წლისთვის ტვერის საგუბერნიო და ნოვოტორჟოკის სამაზრო საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი და წევრნის ისე, რომ საერობო კრებას ნება აღარ მიეცეს მოახდინოს კანონით დაწესებული არჩევნები ამ თანამდებობებზე; ამასთან აიკრძალოს განზრახული საგანგებო კრებანი ტვერის საგუბერნიო და ნოვოტორჟოკის სამაზრო ერობებისა; 2) დარჩეს 1904 წლისთვის ტვერის საგუბერნიო შემოსავალ-გასავლის წინა წლის აღრიცხვა და განაწილება იმ პირობით, რომ თუ საჭირო იქნება შეცვლა ან დამატება, შინაგან საქმეთა მინისტრმა უმაღლესი ნებართვა აიღოს; 3) ნებართვა იმ საქმეების განხილვისა, რომელიც ტვერის საგუბერნიო საგანგებო და ნოვოტორჟოკის სამაზრო საერობო კრებებს უნდა წარედგინოს, დართულ იქმნას იმ წესით, რა წესიც აღნიშნულია საერობო დაწესებულებათა დებულების მე-95 მუხლში; 4) ნება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს, აუკრძალოს ხოლმე ტვერის გუბერნიასა და იმის სხვა და სხვა ადგილებში ცხოვრება ისეთ კაცებს, რომელნიც მავნედ მოქმედებენ საერობო მართვა-გამგეობის მსვლელობაზე; 5) ნება მიეცეს ტვერის გუბერნატორს დაითხოვოს ერობის სამსახურიდან საზოგადო წესიერებისა და მშვიდობიანობისათვის მავნე პირნი.

ამ უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე იმისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ 8 იანვარს 1904 წელს კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: **„თანახმა ვარ“**.

ახალი ამბავი

◆ 21 იანვარს, ღამის $11^1/_2$ საათზე, ბელგიის უსახელო სიზოგადოების კანტორაში, მიხეილის ქუჩაზე, **შემდეგი ამბავი მოხდა:** იმ დროს, როცა კანტორაში იმყოფებოდა კასირი საზოგადოებისა, სამი კონდუქტორი და ერთი თუ ორი მსახური კანტორისა, შეცვივნულა ოთხი შეიარაღებული კაცი; ორიც გარედ კარებთან დარაჯად დარჩენილა. ოთხთაგან ერთ-ერთს მოუხვეტია ის ფული, რაც კონდუქტორებს ჩაუბარებიათ კასირისათვის, ორი კი იარაღით ხელში თავს დასდგომიან კასირს და მოუთხოვნიათ ფული. კასირს მოუსწრია კასა დაკეტა და მეორე ოთახში გავარდნა. ამ ოთახში ქუჩისაკენ ფანჯარა გაუმტვრევია და გადახტომა მოუსურვებია, მაგრამ ამ დროს ქუჩიდან კაცს დაუძახნია, მანდედან არ დაიძრა, თორემ ცოცხალს არ გადაგარჩენთო. მალე შიგნით მყოფი ბოროტ-მომქმედნი გამოსულან და დარაჯად მყოფებთან ერთად ჩასულან ბაღში, კანტორის პირდაპირ, და სადღაც მიმალულან. წაუღიათ მხოლოდ 43 მანეთამდე. ყოველივე ეს ის[illegible]ლად მოხდა, რომ არამც თუ დაჭერა, კვალიც კი ვერ მიაგნეს.

◆ 14 იანვარს ბათუმში ადგილობრივ **ქართულ სკოლის** სასარგებლოდ გამართულ სალამოს ხარჯს გარედ დარჩენილა 3000 მანეთი.

◆ როგორც „პრავ. ვესტ.“-შია გამოცხადებული, გადიდებულ იქმნა შტატი **ტფილისის საბებიო ინსტიტუტისა.** დაწესდა ერთი თანამდებობა ექიმისა და ორი ბებია ქალისა. ამათ ჩაებარებათ მიგდებულ ბავშვთა თვალ-ყურის გდების საქმე. ექიმს დაენიშნა წელიწადში 1500 მანეთი, ბებია-ქალებს თითოს 500 მან.

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობის** მეოთხე წევრის არჩევანი მოხდება ორშაბათს, 26 იანვარს.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ერთს ნაწილს 21 იანვარს **კერძო კრება** ჰქონდა ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატის დასასახელებლად. კერძო კრებამ კანდიდატად ერთ-ხმად ხმოსანი თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დაასახელა.

◆ ფშავ-ხევსურეთის ჩარჩ-მატყუარა ვაჭრების ასალაგმავად ადგილობრივ ინტელიგენტთ აზრად მოსვლიათ სოფ. მაღაროსკარში (ფშავეთში) დააარსონ **სავაჭრო ამხანაგობა.** ამხანაგობა შეიძენს ადგილობრივ ნაწარმოებს: ხევსურულ ერბოს, ფშაურ მატყლსა და სხვას. ფშავ-ხევსურთ მისცემს სავაჭროს ხელ-მისაწვდენ ფასებში. ამ ამხანაგობის წევრად ყველას შეუძლიან ჩაეწეროს.

◆ 1-ლ თებერვლისათვის დანიშნულია კრება ტფილისის **ვაჭართა საზოგადოებისა.** კრებამ სხვათა შორის, უნდა განიხილოს საზოგადოების ამა წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

◆ ტფილისის ქალაქის იურისკონსულტმა წინადადება მისცა გამგეობას, **საჩივარი აღსძრას** ხმოსნის ქიუჩარიანცის წინააღმდეგ, რომელმაც ნიკოლოზის ქუჩაზე თავის სახლის წინ მიითვისა ქალაქის ადგილიო. გამგეობამ იურისკონსულტის მოხსენებასთან ერთად განიხილა განცხადება თვით ქიუჩარიანცისა და დაადგინა: რადგან ქიუჩარიანცს ქალაქის ადგილი არ მიუთვისებია და ქალაქი დღევანდლამდე სრულად ჰფლობს ნიკოლოზის მოედანის იმ ნაწილს, რომელიც ვითომც ქიუჩარიანცს მიეთვისებინოს, საჩივარი ქიუჩარიანცის წინააღმდეგ არ აღიძრას. თუ ქიუჩარიანცი სცნობს, რომ ქალაქმა იმისი უფლება დაარღვია, თვითონ აღძრას საჩივარი ქალაქის წინააღმდეგო.

◆ ტფილისის ქალთა საპროფესიონალო სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა-ქალმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას დანიშნოს მცოდნე კაცი სასწავლებლის მთელის ქონების დასაფასებლად. უნდათ დააზღვევინონ ქონება.

◆ სოფ. მარტყოფიდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ, რომ ძლიერ გახშირებულა ქურდობა და ავაზაკობა. ამ დღეებში ს. ბერიშვილს თავისი მიწა შემოუღობნია ახალ სისტემით (მავთულით), მაგრამ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ აუჭრიათ მთელი ეს მავთულის ღობე და წაუღიათ.

◆ სად. ავჭალაში ვიღაცას ვლ. ბ—ძისთვის 400 მანეთით სავსე ქისა ამოუცლია, როცა ბ—ძე ჩამოდიოდა დამდგარ მატარებლიდან.

შემოწირულება

მოსწავლე-ქალის ს. გ—შვილის სასარგებლოდ კიდევ შემოვიდა: ნესტორ ლექვასაგან—1 მ., №-საგან—10 კაპ., ჯგუფასაგან—90 კაპ.

სულ შემოვიდა 27 მან. 25 კაპ., რომელიც გუშინ დანიშნულებისამებრ გადაეცა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მღვდელ ივანე კრონშტადელისთვის ერთს ქალს იაროსლავის გუბერნიაში დიდი მამული უჩუქებია. ეს მამული 500 ათას მანეთად ღირს. ივანე კრონშტადელი თავის ახალ მამულში წასულა და იქ დიდ მონასტერს აშენებს.

◆ ქალაქ ილიმსკში შემდეგი განკარგულება მოუხდენიათ: „ვაცხადებ, რომ ყველა ახალგაზდა კაცი, რომელიც ღამის ცხრა საათის შემდეგ ქუჩაში შემხვდება, დაპატიმრებულ იქნება. საღამოების გამართვა სასტიკად აკრძალულია, რადგან იქ ახალგაზდა კაცებიც იქნებიან და ესენი-კი ღამე უეჭველია შინ უნდა დაბრუნდნენ“.

◆ ქალაქ გრიზოვცის (ვოლოგდის გუბ.) საპყრობილეში პატიმართ უწესოებანი მოუხდენიათ. წასულ წლის ნოემბერს ქალაქში ხმა გავრცელდა, სატუსაღოში რაღაც ხდებაო. ეს ხმა გამართლდა. საქმემ იქამდე მიაღწია, რომ საპატიმრო ვოლოგდის გუბერნატორმა გასინჯა, საპატიმროს მთავრობა სამსახურიდან დაითხოვა და ამის შემდეგ პატიმრებიც დამშვიდდნენ. მაგრამ ეს დამშვიდება ქარიშხალის მომასწავებელი იყო. შობა დღეს საპყრობილეს ეკლესიაში, როცა მღვდელმა ჯვარი გამოიტანა, პატიმრებმა ხმაურობა ასტეხეს, ყვირილი დაიწყეს, იცინოდნენ და ჰყვიროდნენ: „თქვენ მხოლოდ ჩვენი შაურიანების დატყუება გინდათ“-ო. დაუყვირეს მღვდელს ტუსაღებმა, დაიწყეს სტვენა, გინება და ლანძღვა, რომელიც საპატიმროს მთავრობას და სამღვდელოებას შეეხებოდა. გარეშე პირნი ეკლე-

---

ფელ'ეტონი

წერილები ლონდონიდან

XXIII

გლეხების კოოპერაციები

(დასასრული*)

დანიის მეზობელი ჰოლანდიაც შეუდგა კოოპერაციების გამართვას. დიდი ხანია ჰოლანდიაში, ნავოსნობის გარდა, შვეიცარიასავით საქონლის მოშენებაც განვითარდა, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მერძეობა გაძლიერდა. ჰოლანდიის ძროხა საუკეთესო მეწველ ძროხად ითვლება. ჰოლანდიური კარაქი, ჰოლანდიური ყველი მთელს ევროპაშია გათქმული. არსად, თვით შვეიცარიაშიაც კი, ძროხა იმდენს არ იწველის, რამდენსაც აქ იწველის; ამდენი კარაქიც არსად არა მზადდება. აქ ყოველ წელს საშუალოდ 130-131 ათასი ტონა კარაქი მზადდება. ჩვენებურად თუ ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ ჰოლანდიაში ყოველ წელს 8 მილიონი ფუთი კარაქი მზადდება. ყოველ აქაურ ძროხას 320 გირვანქა კარაქი შეჰხვდება.

ამ ციფრებს რომ დავუფიქრდეთ, ხელად მივხვდებით, რაშია საქმე. ჰოლანდიაში მერძეობა იმიტომ კი არ განვითარდა ასე საოცრად, რომ იქ რამდენიმე ასი მსხვილი მემამულე, ან 10—20 ათასი მდიდარი ფერმერი კარგს საქონელს ინახავდეს, კარგად უვლიდეს ამ საქონელს და რძეს კარგად იყენებდეს. არა, მერძეობის ასეთი განვითარება იმით აიხსნება, რომ წვრილ ფერმერებსაც, გლეხებსაც, ერთის სიტყვით ყველას, ვისაც კი ერთი ძროხა მაინც მოეძევება, საქონელიც საუკეთესო ჯილაგისა ჰყავს, ამ საქონელს კარგადაც უვლის და რძესაც კარგად იყენებს. მდიდრები საქონლის შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯებს ან ნაღდის ფულით იშორებენ, ან ხელს მსხვილ ბანკებიდან იმართვენ, ღარიბებს კი ამ ხარჯების გასასტუმრებლადა და ფულის საშოვნელად ამხანაგობებისა, კოოპერაციებისა და სასოფლო საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება მოუხდათ. ამნაირი ამხანაგობა ყველგან არსებობს. მერძევეთა ამხანაგობა, ყველისა და კარაქის მოსამზადებლად ამ ჟამად 416 არსებობს. საქონლის საკვების საყიდლად 166 ამხანაგობა არსებობს; ამდენივე ამხანაგობა არსებობს აგრეთვე მიწის სასუქის საყიდლად. მებოსტნეებსა და მეყვავილეებს უფრო მეტი საზოგადოებაც აქვთ დაარსებული.

ყველამ ვიცით, რომ ჰოლანდიელებმა მებოსტნეობა და ყვავილის მოშენება უმაღლეს კულტურამდე განავითარეს. ყველაზე მეტად გათქმულია აქაურ ზამბახისა და სუმბულის ძირები. მარტო ყვავილების ძირები, მცენარეები და ხის ნერგები (ბაღისა) ჰოლანდიას ყოველ წელს 3 მილიონისაზე მეტი გააქვს. სხვა-და-სხვა ბოსტნეულობაც 19-20 მილიონისა გააქვს. კარაქი, ყველი და ხორცი ხომ ყოველ წელს მარტო ინგლისში აი რამდენი გააქვს...

ღორის ლორი . . .	502,000	მან.
ცხვრის ხორცი . . .	7,200,000	„
ძროხის ხორცი . . .	6,300,000	„
ღორის ხორცი . . .	7,000,000	„
ფრინველი	320,000	„
კარაქი	19,000,000	„
ყველი	6,000,000	„
მარგარინი	22,000,000	„
რძე	5,000,000	„
კვერცხი.	420,000	„
სხვა-და-სხვა ხილი . .	1,600,000	„
ზემო მოხსენებული ბოსტნეულობა, ყვავილები და ყვავილების ძირები . .	23,000,000	„
სულ	98,342,000	მ.

ეს ამოდენა საქონელი მომეტებულ ნაწილად სულ წვრილ მესაკუთრე გლეხებისა და ფერმერების სხვა-და-სხვა კოოპერაციებს ეკუთვნის. ნუ დაივიწყებთ, რომ ჰოლანდია უმთავრესად მეზღვაურობისა და მანუფაქტურულ მრეწველობას მისდევს. სოფლის მეურნეობას აქ სულაც არ უჭირავს პირველი ადგილი.

ჰოლანდიის სამხრეთით ბელგია მდებარეობს. აქაც, ისე როგორც ჰოლანდიაში, მიწის ნიადაგი ხალხმა ძალ-და-ძალ შეჰქმნა. თუ ჰოლანდიელებმა ნელ-ნელა მედგარის ბრძოლით ზღვას მიწა მოსტაცეს, არხებითა, შლიუზებითა, დამბებითა თავიანთ მდინარეების წყალი კალაპოტში ჩააყენეს და ამნაირად საცხოვრებელი ადგილი გაიჩინეს, ბელგიელებმა კიდევ ქვიშიანი, რიყიანი ადგილები გააპატიოსნეს, დაცემულ დაბლობებში ჰომბები დაწკრიტეს, გააშრეს, გაწმინდეს და ნაყოფიერ ქვეყნად აქციეს. ეხლა მთელი ბელგია ბაღივით მოვლილი და აყვავებულია. აქა და ჰოლანდიაში მიწა ოქროს ფასად იყიდება. აქაურ გლეხ-კაცებს მეტად წვრილი მამულები აქვთ; მომეტებულ ნაწილად დესეტინის მეოთხედი, ნახევარი და სამი მეოთხედი უჭირავთ. მაგრამ აქაურმა გლეხებმა კოოპერაციები დაარსეს და იმათის შემწეობით, ისე როგორც ყველგან სხვაგან, აქაც სასწაულები მოახდინეს. რანაირი კოოპერაცია გინდათ, რომ აქ არ იყოს! მებოსტნეობისა, შაქრის ჭარხლის მთესველთა, შაქრის ქარხნების გამმართველთა; სამეურნეო პატივისა, სასუქისა, იარაღისა, მაშინებისა და ყოველნაირ სახმარებელ საგნის სასყიდლად, საურთიერთო კრედიტისა, [illegible] ობისა და სხვა. ყოველ სოფლის მეურნეობის დარგში კოოპერაცია სწორედ სასწაულს ახდენს. ყოველი დესეტინა მამული ბელგიაში საშუალოდ 180 მან. შემოსავალს იძლევა წელიწადში!..

მაგრამ ბელგიის მეზობელ საფრანგეთის მიწად-მოქმედებაში უფრო მეტი სასწაული მოახდინა კოოპერაციების განვითარებამ. ადრე საფრანგეთის გლეხს ყველანი ჯიუტ ინდივიდულისტ-ეგოისტად სთვლიდნენ. მაგრამ ფრანგ გლეხის ბრალმდებელთ უვიცობით ავიწყდებოდათ, რომ საფრანგეთის ყ[illegible] ველი მთავრობა მე-XIX საუკუნეში სისტემატიურად უკრძალავდა სოფლის ხალხს ყ[illegible] ლანაირ კავშირისა, ასოციაციისა, ამხანაგობისა და კოოპერაციის დაარსებას. სოფლის ხალხს მხოლოდ 1886 წელს მიეცა თავისუფალ კავშირების (სინდიკატების) დაარსების ნება. და აკი საფრანგეთი მას აქეთ გა[illegible]სო კიდევაც ყოველნაირ კოოპერაციებით. სოფლის მეურნეობაში ისეთი დარგი ალარ [illegible] რომ გლეხებს კოოპერაცია არა ჰქონდე[illegible] დაარსებული. მებოსტნეებსა, მხვნელ-მთესველებს, მევინეებსა, საქონლის მომშენებელთ, მეფუტკრეებს, მერძევეებს ათასობით აქვთ დაარსებული კოოპერაციები. მარტო მომხმარებელი და გლეხების ნაწარმოების გამსყიდველი კოოპერაცია 6 ათასი ით[illegible]ბა. კოოპერატიული სასოფლო კრედიტის საზოგადოება—ყველა საზოგადოებას მრა[illegible]ლი განყოფილება აქვს—ეხლავე 500-ზე მ[illegible]ტია. ყველაზე მეტად საყურადღებო კი ისაა, რომ პატარა სინდიკატები ერთმანე[illegible]თან შეერთებასა და დიდ ფედერატიულ ს[illegible]დიკატების დაარსებას ცდილობენ.

საფრანგეთში ჯერ ახალი საქმეა კოოპერაცია. ამიტომ შეიძლება, რომ მერე უფრო დიდი სასწაულებიც მოახდინოს [illegible] მოძრაობამ.

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2330.

სიიდან გავიდნენ. ამის შემდეგ საპყრობილის მთავრობამ პატიმართა დამშვიდება დაიწყო. ნათლიღება დღეს იმავე ეკლესიაში გვე განმეორდა. ამ დღეს პატიმრებმა ფანჯრები, სკამები და კარები დაამტვრიეს. მ საქმეს ოლქის სასამართლოს პროკურორი არჩევს. („ბირჟ. ვედომ.“).

◆ პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ როტშილდისა და ხაზინის საქმე გაარჩია და დაადგინა: ხაზინას ნება აქვს როტშილდს ბაქოში ნავთის მიწა, ზომით 12 დესეტ., წაართვას და სამაგიეროდ მიწის მოწყობისთვის რამდენიმე მილიონი მან. გადაუხადოს. თუ როტშილდი და ხაზინა ვერ მორიგდნენ, ხაზინას ნება აქვს როტშილდს ადავო მიწიდან მოწყობილი მაშინები აალებინოს, რასაც დიდის ხნით ნავთის შეჩერება მოჰყვება.

◆ „პრ. კრ.“-ში დაბეჭდილია: „იურიევში შემოღებული გაძლიერებულ დაცვის წესები 1904 წ. 1 დეკემბრამდე დარჩება“.

◆ 7 იანვარს ცარიცინის საბირჟო კომიტეტში გაზეთების გამოწერაზე იყო ლაპარაკი. კომიტეტმა დაადგინა, გამოიწეროს, სხვათა შორის, განთქმულ კრუშევანის გაზეთი „ზნამია“, „ცარიც. ვესტ.“ კი არ გამოიწეროს. კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა ამ დადგენილების წინააღმდეგ ილაპარაკა; კომიტეტის თავმჯდომარემ სერებრიაკოვმა განაცხადა: თუ „ცარიც. ვესტ.“-ი გამოიწერეთ და „ზნამია“ კი არა, მე სამსახურიდან გავალო. იმანვე მოითხოვა, „ცარიც. ვესტ.“-ს თანამშრომელს მილოსლავსკის იმის ნებადაურთველად ბირჟაზე მოსვლის ნება არა ჰქონდესო.

სასამართლო

შუაღამისას ქალაქში თავდასხმა

გუშინ, 22 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლო შეუდგა ერთის საქმის განხილვას. პასუხის გებაში მიცემულნი არიან მიხეილ ი. მჭედლიშვილი, მიხეილ დ. კობახიძე, ვასილ ს. იაშვილი, ილია კიზირია და არტემ მარტიევი. ამათ თავდასხმა ჰბრალდებათ. 1902 წელს 17 ივნისს ტფილისის მოქალაქეს ტურინჯი ვლასოვს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მიუღია 15,750 მან. აქედან 3000 მან. ფულად და 12,000 მან. ჩეკი უბეში ჩაუმალავს, ხოლო 700 მან. ჟილეტის ჯიბეში ჩაუდვია და წასულა. ცოტა ხნის შემდეგ საზოგადოების მოსამსახურეებს მასტიცკისა და გაბრიელოვს შვეიცრის ოთახიდან ყვირილი და ხმაურობა გაუგონიათ. როცა ჩაურბენიათ, უნახავთ, რომ მიხეილ მჭედლიშვილსა და ორს ვიღაც კაცს ყელში ხელი წაეჭირათ ვლასოვისთვის. ერთს ვლასოვისთვის კიდეც დაუკრავს თავში ორჯერ. ამ დროს მასტიცკის დაუძახნია: „რა ამბავია, რას სჩადით მაგასაო?..“ მაშინ ბოროტ-განმზრახველებს მიუტოვებიათ გასისხლიანებული ვლასოვი, გაცვივნულან გარედ და სადღაც მიმალულან. გაბრიელოვი გამოსდევნებია ბოროტ-განმზრახველთ. გაბრიელოვს შეუნიშნავს, რომ ორი ბოროტ-განმზრახველი იქვე მჭედლიშვილის სარდაფში შევარდნილა, ხოლო მესამე პირდაპირ შუა ბაზრისაკენ გაქცეულა პუშკინის ქუჩით. მჭედლიშვილის სარდაფში მსახურებს მათიაშვილსა და ხერუმოვს და იქვე მყოფს შიშკინსა და მასლიანნიკოვს უთქვამთ, რომ მჭედლიშვილის ბუფეტზე გაირბინა ორმა ფიჯაკში გამოწყობილმა ყმაწვილმა ისე ჩქარა, რომ ვერ გავარჩიეთ, ვინ იყვნენო. თუმცა გამოვუდექით, მაგრამ დაიმალნენო. ვლასოვისთვის ბოროტ-განმზრახველებს მხოლოდ 750 მან. წაურთმევიათ. მეორე დღესვე დააპატიმრეს მიხეილ მჭედლიშვილი და სხვებთან ერთად წარუდგინეს ვლასოვს. ვლასოვს უცვნია. იცვნეს იგი აგრეთვე მასტიცკიმა და გაბრიელოვმაც. 19 ივნისს დააპატიმრეს ონის მცხოვრები აზნაური ვასილ იაშვილი, რომელიც ტურინჯ ვლასოვმა იცნო. მოწმეების ლუკა დადიანიძისა, არჩილ ნაოჩევისა და სხვათა ჩვენებით გამორკვეულა, რომ იაშვილს იმ დროს არავითარი საქმეები არა ჰქონდა. ამას გარდა იაშვილი ძალიან დაახლოვებით იცნობდა წყალობა მარტიევს, რომელთანაც 18 ივნის მთელი ღამე გაატარა ქეიფში. მჭედლიშვილი და იაშვილი პასუხის გებაში მისცეს. პირველად ესენი არ გამოტყდნენ.

რამდენისამე ხნის შემდეგ მეტეხის საპყრობილიდან გამოგზავნილ წერილში მჭედლიშვილი თავის ბიძას ივანე მჭიდლიშვილს ემუდარებოდა, მოეყიდნა ორი მოწამე და, დარჩოსა და სხვა ნაცნობების შემწეობით, გავლენა მოეხდინა ვლასოვზეო. შემდეგ იაშვილს გამომძიებლისათვის უცნობებია, მჭედლიშვილი უკვე გამოტყდა და ამიტომ დაუსახელებია ყველა ისინი, რომელთაც ვლასოვის ვაძარცვაში მონაწილეობა მიიღეს. მჭედლიშვილი გამომძიებელთან მართლაც გამოტყდა და განაცხადა, რომ ამ ბოროტ საქმეში გამაბრიყვა არტემა მარტიევმა, რომელმაც მიმიწვია სასტუმრო „ათინა-“ში და იქ მელაპარაკა. კარგა ხანს ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი და როცა ქუჩაში გამოვედი, ორი კაცი მიცდიდა. მჭედლიშვილმა პირდაპირ არ დაასახელა ამხანაგები და ხან ვის ასახელებდა და ხან ვის.

მჭედლიშვილი მეტეხის საპყრობილეშიაც გამოსტეხია პატიმრებს. სხვათა შორის უთქვამს, მიხეილ კობახიძეც ჩვენთან იყოო. დაუპატიმრებიათ კობახიძეც. ამის შემდეგ მჭედლიშვილს გამომძიებლისთვისაც უთქვამს, ჩემ ამხანაგებად იყვნენო. კიზირიას პირველად უნდა დაერტყა თავში ჩაქუჩი ვლასოვისათვისო და, როცა იგი ცნობას დაჰკარგავდა, კობახიძე მივარდებოდა და ამოაცლიდა ჯიბიდან ფულს. ასე გვქონდა განაწილებული როლები, მაგრამ სხვანაირად დატრიალდა საქმე: ვლასოვმა ჩაქუჩის დარტყმით გრძნობა არ დაჰკარგა, მაშინ კიზირიამ გააგდო ჩაქუჩი და კისერში ხელი წაუჭირა ვლასოვსაო. ჩაქუჩს მე წავავლე ხელი და მეორედ დავარტყი თავში ვლასოვს. მოსამსახურეებისა და ვლასოვის ხმაურობაზე ყველანი გამოვცვივნდით და თავს ვუშველეთო. მე და კობახიძემ ჩავირბინეთ ჩემის ბიძის მჭედლიშვილის სარდაფში, იქიდან ეზოს კარებით გავიპარენით და გავსწიეთ მუხრანის ბორანისაკენ. როცა ბორანით მეორე ნაპირზე გადავდიოდით, დასისხლიანებული ჩაქუჩი გადავისროლეთ მტკვარშიო. როცა ციციშვილის აღმართს ავუდექით, გავშალეთ ვლასოვის ჯიბიდან ამოცლილი ქაღალდი, მაგრამ შიგ ფული არ აღმოჩნდა. წავედით ელდორადის ბაღში სადილის საჭმელადაო.

როგორც გამოძიებით აღმოჩნდა, არტემ მარტიევსაც მიუძღოდა დანაშაული ამ საქმეში. ვლასოვს იმისთვის დიდი ფული გადაუხდევინებია. ამის გამო დაღარიბებულა. იგი დაჰმუქრებია ვლასოვს. პასუხის გებაში მიცემულ მარტიევსა და კიზირიას გამოძიების დროს თავი დამნაშავედ არ უცვნიათ და დაუსახელებიათ მოწმეები იმის დასამტკიცებლად, რომ იმ დროს, როცა ბოროტ-მოქმედება მოხდა, ისინი სხვაგან იმყოფებოდნენ.

პასუხის გებაში ამ რიგად მისცეს მჭედლიშვილი, კობახიძე, იაშვილი და კიზირია, როგორც ვლასოვის თავდამცემნი და გამძარცველნი და მარტიევი, როგორც ამათი წამქეზებელი და ხელმძღვანელი.

(დასასრული იქნება)

წერილი ოდესიდან

პროფესორის მელიქიშვილის იუბილეი

16 იანვარს ჩვენის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა შინაურულად იდღესასწაულა პატივცემულ პროფესორის პეტრე გრ. მელიქიშვილის 30 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილეი. თუმცა ბ-ნ მელიქიშვილს 13 იანვარს შეუსრულდა 30 წელი სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობისა, მაგრამ იუბილიარი აქ არ იყო და იმის მოსვლას ელოდნენ. 12 საათზე შეიკრიბნენ საბუნებისმეტყველო განყოფილების დარბაზში ქიმიკოსი-პროფესორები, ლაბორანტები, ასისტენტები და სტუდენტობა. მოვიდა თუ არა იუბილიარი, უხუცესმა ქიმიკოსმა ბ-ნმა გ. მ. პეტრიაშვილმა გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა ამხანაგთა სახელით და ვრცლად დაახასიათა იმისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. ამასთანავე გადასცა მცირე ნობათი—საგანგებოდ დამზადებული თუჯის ალბომი იშვიათის ხელოვნებისა ამხანაგთა სურათებით. ბ-ნმა მელიქიშვილმა გულწრფელი მადლობა შესწირა ამხანაგებს პატივისცემისათვის.

შემდეგ ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელმა მიართვა ადრესი ქართულს ენაზე, რითაც იუბილიარი დიდად ნასიამოვნები დარჩა. ბ-ნმა მელიქიშვილმა განუმარტა დამსწრეთ, რომ იგი შვილია რუსეთის სანაპიროისა, რომლის ვითარებასაც განათლების მხრივ დღესაც მრავალი ნაკლი აქვს, და ამ რამდენისამე ათეულ წლის წინად რომ მეტად უნუგეშო იყო. ეს უფრო იმის ბრალი იყო—სთქვა იუბილიარმა—რომ მოხელენი უნდოდ შეჰყურებდნენ სახელმწიფოს სანაპიროებს და უგულოდ ეპყრობოდნენ მკვიდრთაო. საბედნიეროდ, სამოციან წლებიდან უფრო ჰუმანურს გზას დაადგნენ და თანდათანაც გაუმჯობესდა მკვიდრთა და მოსულ ხალხთა ურთიერთობაო. დასასრულ, იუბილიარმა სთხოვა დამსწრეთ ამ აზრის გათვალისწინება და აღნიშნა, რომ მხოლოდ ლმობიერებით, სათნოებით და ადამიანურის მოპყრობით შეიძლება შეთვისება და შეტკბობა, როგორც კერძო კაცისა, ისე მთელის ხალხისა; აუცილებლად ამ გზას უნდა ადგეს ყოველი რიგიანი და შეგნებული ადამიანი, ვინაიდან ესაა მისი უწმინდესი მოვალეობაო. კერძოდ ქართველ სტუდენტებს გულითადი მადლობა შესწირა იმ თანაგრძნობისა და პატივისცემისათვის, რომელიც მათ გამოსთქვეს თავის ადრესში. ბ-ნ მელიქიშვილს მეოთხე კურსის ქიმიკოსებმა ოქროს ჟეტონი მიართვეს შესაფერის ზედ წარწერით.

გ.—ელი

წერილი კახეთიდან

სუსხიანი ზამთარი.—ავადმყოფობა.—მკითხავები

მთელმა ზამთარმა ისე გაიარა 12 იანვრამდის, არც კი გაუგია ვისმეს, რომ ზამთარი იყო. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მოკლე ხნის ყინვებმა სულ ამოგვაშხამა წარსულის ხნის სიამოვნება. თოვლი, მართალია, მტვრის მსგავსად არის გადაბნეული დედა-მიწაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, საშინელი ყინვებია. წყლებს ყინულის სუდარა გადააფარა და მით მოუსპო სიცოცხლე, ასე რომ თელავის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი იძულებულნი არიან, როგორც თავიანთ სასმელ წყლისთვის, ისე შინაურ პირუტყვისთვის თელავის წყაროებზე იარონ, ხოლო განაპირა სოფლელი მდინარე ალაზანზე. რასაკვირველია, არაფერს ვინაღვლიდით, თუ კი მარტო ამ ერთის მხრით შეგვავიწროვებდა უცებ გუნება-შეცვლილი სუსხიანი ზამთარი და თან არ მოიწვევდა თავის განუშორებელს მეგობარს, სხვა და სხვა გვარს ავადმყოფობას. ცუდმა ამინდმა და ავადმყოფობამ ერთ დროს დაიწყეს მოქმედება. გაჩნდა ყელის ტკივილი, ყურებისა და ფილტვების ანთება, წითელი ქარი და სხვ. რასაკვირველია, ამ ათასნაირ ავადმყოფობის გასაძღოლად საჭიროა ექიმთა საკმაო რიცხვი, მაგრამ, სამწუხაროდ ორი ექიმია თელავში და ერთიც სოფელს ენისელში, რომელიც თელავზე 15—20 ვერსის მანძილზეა მოშორებული. კვირაში ერთხელ ან ორჯელ გამოვა ენისელიდან ექიმი საქმისთვის თელავში. მართალია, საქმისთვის გამოდის, მაგრამ ჰხედავს რა, რომ ვერ ასდის ავადმყოფთა რიცხვს ეს ორი ექიმი, ესეც ერთი-ორი დღით ეხმარება და არ ჰზოგავს შრომას. ვწუხვართ მრავალ-გვარი სხვა-და-სხვა ავადმყოფობით და ამ სამწუხაროს გვიქარვებენ ჩვენი გულ-შემატკივარი ჯანათის ექიმმკითხავები. აქამდის თუ მარტო უგიც სოფლელთ

პატარა მშვენიერი შვეიცარია, გლეხ-კაცებისა და მწყემსების ქვეყანა, ხომ მუდამ მოწინავე ქვეყანა იყო ევროპაში. აქ ძველთაგანვე არსებობდა საზოგადო ტყეები, საძოვრები, აქ ყოველი სოფელი მუდამ შეწევნობას აძლევდა ობლებსა და მოხუცებულებს. ამიტომ საკვირველიც არაა, რომ აქაურ სოფლის მეურნეობაში, მაგალითად მერძეობაში, კოოპერაციები დიდი ხანია ეროვნულ საქმედ გადაიქცა. სათემო სარძევე აქ ყოველ სოფელში არსებობს. ამას გარდა, შვეიცარიაში ძროხის პატრონთა და მეყველეთა 1,400 ამხანაგობა აქვთ დაარსებული. საქონლის გამოკვებისა და ჯილაგის გაუმჯობესობისათვისაც 360 ამხანაგობაა აქ დაფუძნებული.

კოოპერაციამ ინგლისის კოლონიების მიწად მოქმედებაშიაც გაიდგა ფესვი. ვიქტორიასა (ავსტრალიაში) და ახალ ზელანდიაში მერძეობა კოოპერატიულ წესზეა დაფუძნებული. ახალ ზელანდიაში მერძეეებს 234 საზოგადოება აქვთ დაარსებული, 70 ათასი ძროხა ჰყავთ და წელიწადში 4,240,000 მანეთის ერბოსა და ყველს ამზადებენ. ფედერატიულმა კანადამ არა თუ სასოფლო მეურნეობაში კოოპერაციები დაარსა, თავის მთავრობასაც მოვალეობა დააკისრა, რომ [illegible] მივარდნილ პატარა სოფლებსაც კი ფულით დახმარება გაუწიოს და სპეციალისტები გაუგზავნოს. ამის წყალობით, მთელი კანადა ხილის ბაღებითა, მერძევეთა ფერმებითა და სამაგალითო ყველის ქარხნებით სავსეა. „ჩვენმა თეთრმა ლედიმ“ (ქალ-ბატონმა),—ასე ეძახიან ინგლისელები კანადას, რადგან იქ მეტად ცივი, თოვლიანი ზამთარი იცის—თავის მშვენიერ ვაშლითა და იაფის ყველით გაავსო ინგლისი. რატომ არ გაჰყიდის იაფად, როდესაც კოოპერაციებისა და ამ [illegible]დოებრივ სპეციალისტების წყალობით, ერთის გირვანქა ყველის მომზადება, ტეხნიკის ჯამაგირიც რომ ვიანგარიშოთ, სულ რაღაცა 6—8 კაპეიკი უჯდება?

ყველაზე მეტად საკვირველი გავლენა-კი კოოპერაციამ ირლანდიაზე იქონია. ყველამ კარგად იცის, რა საშინლად დაღუპული და გაღატაკებულია ირლანდიელი გლეხი. გაჭირვებისაგან ირლანდიაში ხალხის რიცხვმაც კი ძლიერ იკლო: სიღატაკე ყველა ახალგაზრდა და ღონით სავსე ხალხს ამერიკასა და ინგლისის კოლონიებში მიერეკებოდა, უდროვო სიკვდილი კიდევ დანარჩენ მშიერ, ღონე გამოცლილ, დაჩაგრულ ხალხს ბოლოს უღებდა და საიქიოს ისტუმრებდა. კოოპერაცია გაღატაკებულ ირლანდიაში სულ ეხლან-ხან გაჩნდა. მაგრამ აბა ყური დაუგდეთ, რას ამბობს ირლანდიის მეფის მოადგილის მდივანი ლორდ პლუნკეტი იქაურ სოფლის კოოპერაციების თაობაზე დაწერილ მოხსენებაში.

„ახალის ცნობებით, ირლანდიაში 546 კოოპერაციაა 54 ათასის წევრით. აქედან 270 კოოპერაციაა მერძევეებს ეკუთვნის, 111 კოოპერაცია მიწათ-მოქმედებს დაუარსებიათ იარაღისა, მაშინებისა, თესლისა, პატივისა და ყველაფრის საყიდლად, რაც-კი გლეხ-კაცს თავის მეურნეობაში დასჭირდება. 77 საზოგადოება ყოველნაირ სასოფლო საქმეს მისდევს: სელის მოყვანა გინდათ, თუ ტილოს ან არშიების ქსოვა; სოფლის ნაწარმოების გაყიდვასაც კისრულობს. დასასრულ 87 სასოფლო საკრედიტო საზოგადოებაც არსებობს. ამ საკრედიტო დაწესებულებათ დიდი ზნეობრივი და აღმზრდელი გავლენა აქვთ ხალხზე და თვით კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებაზეც... ამ ბანკებმა თავიანთ წევრებს ათასობით მისცეს სესხი; ვალს ყველანი, ათასში ერთის გარდა, პირნათლად იხდიან, მოტყუება და უარის თქმა ვალის გადახდაზე ხომ სულ არა ყოფილა. კოოპერაციის საქმე მშვენივრად მიდის და მეტად კარგი გავლენა აქვს თვით უბედურ ღატაკ ოლქებზედაც. უნდა დამეთანხმოთ, რომ ალბად თითონ კოოპერაციას რაღაც სასწაულებრივი ძალა აქვს და ეს ძალა მიწასთან გასწორებულ ღარიბებსა და ღატაკებს ისეთ ჩინებულ ხალხად აქცევს, რომ თამამად შეგიძლიანთ იმათ კოოპერაციას ფული ანდოთ და დარწმუნებულნიც იყვნეთ, რომ ამ ფულს დროზე გადაიხდიან.

„ამხანაგობებმა შესანიშნავი გავლენა იქონიეს, ირლანდიის ხალხი მეტად გაამხნევეს, ფეხზე დააყენეს. წინად აქაური ღატაკი ხალხი ჩარჩ-ვაჭრების ნამდვილი მონა და ყელამდე ვალში ჩაფლული იყო. წინად ვაჭარი იქაურს ხალხს, რა ფასადაც ჰნებავდა, ისე აძლევდა ყველაფერს, გლეხებს სძარცვავდა, ყმებივით თავის საქმეზე ამუშავებდა. წინად აქაური ფერმერები ყველანი თავიანთვის ცალკე-ცალკე მუშაობდნენ, ძველებურ უვარგის სამეურნეო იარაღს ხმარობდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, მაგრამ მაინც საზარელ სიღატაკეს თავს ვერ აღწევდნენ, რადგან ყოველ თავიანთ საცოდავ ნაწარმოებს მწვანილის ფასად აძლევდნენ მტაცებელ ჩარჩებს... აბა ეხლა, ორის წლის შემდეგ იმავე ნაცნობ სოფლებში დაბრუნდით და ახალ კოოპერაციის წლიურ კრებას დაესწარით. ჰნახავთ, რომ თქვენი ნაცნობი ირლანდიელები ახალ შენობაში შეკრებილან; გარშემო სულ ახალ, თანამედროვე სარძევის შესაფერ ორთქლის მაშინებსა, ყოველ-ნაირ ახალ მეცნიერულ და ტეხნიკურ გაუმჯობესებულ იარაღსა და მოწყობილებას ჰხედავთ. ყველა ამის გაჩენა და მოწყობა თვითეულ მეურნეს ცალკე არ შეეძლო, მაგრამ 100 ფერმერის ამხანაგობამ-კი ადვილად შეიძლო. თქვენ მაშინვე შეჰნიშნავთ, რომ ეს ხალხი დიდ შნოსა და უნარს იჩენს, რთულ საქმეს კარგად უძღვება, დიდ კომერციულ და საფინანსო ანგარიშებსაც კარგად აწარმოებს.“

დიახაც მართალს ამბობს კეთილშობილი ლორდი. კოოპერაციამ ყველგან და ნამეტნავად რთულსა, მრავალ მხრივან მიწათმოქმედებაში ორიოდე წელიწადს ნამდვილი სასწაულები მოახდინა. კოოპერაციის გავლენით თვით ცხოვრების წყობილება, ხალხის ზნე სწრაფად ვითარდება და მოთხოვნილება ძლიერდება, უმჯობესდება. კოოპერაცია სოფლის ხალხში თანხმობასა, ერთმანეთის ნდობასა და პატივისცემას ჰქმნის. ხალხის გონება საკვირვლად სწრაფად იხსნება; წიგნისა, გაზეთისა, ბიბლიოთეკის მოთხოვნილება ჩნდება და აკი ამიტომ სადაც კოოპერაცია არსდება, იქ დაუყოვნებლივ ბიბლიოთეკაც ჩნდება.

ნეტავ იმას, ვინც გლეხობაში მწარმოებელ კოოპერაციებისა და კრედიტის დაარსებას ითავებს. კარგად ვიცი, რომ კოოპერაცია ჯადოიანი პანაცეია არაა, კოოპერაცია ვერც მამულს მოუმატებს გლეხებს, ვერც უფლებას შესძენს. ეს ასეა. არც ჟურნალები, არც გაზეთები, არც პროფესორისა და მასწავლებლის შრომა სცვლის ცხოვრების წყობილებას, მაგრამ ამ ხელობას მაინც ყველანი პატივისცემით ვუცქერით, ყველანი ვეტანებით. ამისთანა პატივისცემას დაიმსახურებს ის პატიოსანი ხალხიც, რომელიც სამშობლოს მარჩენელ სოფლის ხალხს კოოპერატიულ მოძრაობას გააცნობს, თანხმობას შეაჩვევს, ვინც მიყრუებულ სოფლებსა და საცოდავ ქოხებში სინათლეს შეაშუქებს. მაშინ სოფლის ბავშვები უფრო მხიარულად გაატარებენ შობა-ახალწელიწადს, უფრო გულიანად იცინებენ თავიანთის ვერცხლივით წკრიალა ხმით.

ლონდონელი

ატუშებდნენ და მოქმედებდნენ მათზე თავიანთის გაქნილის ენით, ამ ჟამად თელავის მცხოვრებნიც იგდეს ბრჭყალებში. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ერთს დედაკაცს, რომელიც სცხოვრობს სოფ. ვარდის-უბანში. და აი ამასთან, როგორც უპირველესთან, ეღველდღე დაიარება თელავიდან, განურჩევლად კაცისა თუ ქალისა, სანთლებით ხელში. თუ როგორ ჰმოქმედებენ ეს მკითხავები ხალხზე, შეიძლება დავინახოთ შემდეგიდან: ერთს გლეხ-კაცს, სოფ. ვარდისუბნის მცხოვრებს, გაუხდა ავად ბავში. იგი მსწრაფლ გაეშურა მკითხავისკენ. მკითხავს ეთქვა: „შობა დღეს, როცა შენ დორის ხორცს ჭამა დაუწყე, პირჯვარი არ დაგიწერნია და, აი, ამისთვის არის განრისხებული ესა და ეს ხატიო. ამ ხატს ზვარაკი უნდა დაუკლათ“.—სწორედ ასეაო, მითხრა იმან, მართლა პირჯვარი არ დამიწერიაო.

ცივის კალთელი

დაბა-სოფლები

—

სოფ. ჭერემი (კახეთი). იანვრის თერთმეტში აქ მოვიდნენ სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. დ. იაშვილი და ადგილობრივი ბლაღოჩინი მღ. გ. შიშნიაშვილი, რომელთაც აზრადა ჰქონდათ ჩვენს სოფელში სამრევლო სკოლის დაარსება. ეკკლესიის ეზოში იყო შეგროვილი მთელი ჭერემის საზოგადოება. მ. იაშვილმა მიჰმართა ხალხს სიტყვით და, აუხსნა რა სკოლის მნიშვნელობა და მისი სარგებლობა, წინადადება მისცა: უკეთუ საზოგადოება იკისრებს სკოლასთვის სახლისა, შეშისა და მოსამსახურის მიცემას, იგი იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, რომ დაენიშნოთ მასწავლებელი და ჯამაგირიც სახელმწიფო ეძლეოდესო. ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო ხალხმა. იმავე დღეს დაადგინა განაჩენი და სთხოვა იაშვილს დააჩქაროს სკოლის გახსნა. ეს მეორე სამრევლო სკოლა იხსნება სიღნაღის მაზრის მეოთხე საბლაღოჩინო ოლქში. პირველი სკოლა დაარსდა ბლაღოჩინის მღ. გ. შიშნიაშვილის მეცადინეობით სოფ. ჯიმითში, წარსულის 1903 წელს. მოწყვეტილი ცხოვრებას, დაშორებული ხალხს, ეს მხარე ძლიერ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრივაც. ბევრს მოღვაწეს მოუვლია ეს მხარე, ბევრს უშრომია, ბევრი რჩევა-დარიგება გაუცია ამ მხარეს სოფლებში მცხოვრებ ხალხს სკოლების შესახებ, მაგრამ ამაოდ. სიტყვა სიტყვად რჩებოდა და სკოლები კი არსად იყო. მაგრამ დრო შეიცვალა, ხალხში გაიღვიძა სწავლის სურვილმა. ხალხი თხოულობს სკოლას, უკეთუ იგი აუტანელ ტვირთად არ დააწვება კისერზე. ამას ცხადად ვვიმტკიცებს ჯიმითის სკოლის მაგალითი. არა ერთხელ წაგვიკითხავს გაზეთის ფურცლებზე ჯიმითელების ჯიუტობა სკოლის დაარსების საქმეში. მათაც ბევრი დამრიგებელი გაუბრუნებიათ გულდაწყვეტილი „არ გვინდა, არა“-ს ძახილით. მაგრამ ეხლა სიამოვნებით მიეგება სკოლას და როცა დარწმუნდნენ, რომ სკოლა კისერზე არ აწევთ, წინააღმდეგ, სარგებლობა მოაქვს, იმდენი ყმაწვილები მიჰყავთ სკოლაში, რომ უადგილობის გამო ბევრს მიღებაზე უარს ეუბნებიან. იმედია, ამით ისარგებლებს მ. დ. იაშვილი და სხვა მახლობელ სოფელშიაც დააარსებს ამისთანავე სკოლებს.

ი. შ.

—

სოფ. კოლოთო (კახეთი). მართალია, წარსულ წელს ქურდობა ხშირი იყო, მაგრამ ეკკლესიებს როგორღაც თვალს არიდებდნენ. წელს ამას მიჰყვეს ხელი. „ცნ. ფურც.“ მკითხველთ ეხსომებათ უსანეთის ეკკლესიის (სოფ. კოლოთოში) გატეხა. თუმცა საფასური იმდენისა ვერაფერი წაეღოთ, რადგან შარშანწინაც გაძარცვეს, მაგრამ მაინც, რაც მოხვედროდათ, არაფერი დაენარჩუნებინათ: წირვის შესასრულებელი ნივთები ბარძიმ-ფეშხუმიდან დაწყებული და ზოგი შესამოსი. ამას გარდა, ეკლესიაში დიდი უწესოება მოეხდინათ. ხატები აქეთ-იქით გადაეგდოთ, კანკელის ჯვარი მოეტეხნათ, აღსავლის კარები ჩამოეგდოთ, ფარდა დაეხიათ, ზედაშე ელვარათ და სხვა. ეკლესიის გამტეხნი იპოვნეს სოფ. კისისხევში. ესენი არიან ლეკები, რომლებსაც ადგილობრივ მემამულის ტყეში ემუშავნათ. მოპარული ნივთები დაჭეჭყილი ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი, ბადია, რომელზედაც აწერია უსანეთის ეკლ. შევწირეო, დაფარნა, სამაჯურები და სხვა ზოგი ლეკების გულებში იპოვეს, ზოგიც სხვაგან. ბოროტ-მომქმედნი გამოტყდნენ და 5 ლეკი დააპატიმრეს.

დიმიტრაშვილი

—

სოფ. ბალთა (მთიულეთი) ახალ-წელიწადს ღამეს აქ ერთი საცოდაობა მოხდა. ბასილა ბუთხუზის ცოლი თინათინა, მოხუცი ადამიანი, ერთადერთი ბებია იყო ამ სოფელში მცხოვრებთათვის. ახალ-წლის ღამეს თინათინა წასულიყო ბესო ბუთხუზის ცოლის მოსავლელად. აქ თინათინა საათის ათამდის დარჩომილიყო და მერე შინ წამოსულიყო. იმისდა საუბედუროდ, ღამე მეტის-მეტი ცივი, ბნელი და ქარბუქიანი იყო. თინათინას ბნელაში გზა არეოდა, დაშვებულიყო სახელმწიფო გზისკენ, გვერდაზედ დაგორებულიყო, ღამე გარეთ დარჩენილიყო, ქარბუქს წაებუქა და გაეყინა. მეორე დღეს თინათინა თავისმა ოჯახობამ მოიკითხა. ნაშუადღევს სოფელში ხმა გაისმა, ბებია თინათინა აღარსადა სჩანსო. მთელი სოფელი დიდიან პატარიანად ფეხზე დადგა და მოედო აქეთ-იქით. ბევრის ძებნის შემდეგ თინათინ ასახელმწიფო გზის ახლო იპოვნეს წაბუქული და გათოშილი. ეს მოხუცი ადამიანი დიდის მწუხარებით მიაბარა მიწას მთელმა სოფელმა.

ქართველი ოსებში

წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს მცირე შენიშვნა მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში.

„ცნობის ფურცლი“-ს 2382 ნომერში ბ. სიტყვა ეხება ჩემს „სიტყვა“-ს, მაგრამ, საუბედუროდ, „პატარა ამბებში“ ჩემი „სიტყვის“ შესახებ, „არ არის ის, რაც უნდა იყოს“ და „არის ის, რაც არ უნდა იყოს“. აი მაგალითებიც!

1) მე ვსთქვი: „ცრუ-განათლებულთა აზრით, სარწმუნოება და ზნეობა საჭიროა მარტო სამღვდელოებისა და გაუნათლებელ ხალხისათვის“, —ბ. „სიტყვა“-მ-კი მათქმევინა: „ცრუ-განათლებულნი უარ-ჰყოფენ ზნეობას ხალხისათვის“.

2) მე ვსთქვი: „სამღვდელოების რჩენა დააკისრა მშრომელ და შედარებით ღარიბ ხალხს“, — ბ. „სიტყვა“-მ კი მათქმევინა: (ცრუ-განათლებულნი) „ჰქადაგებენ, რომ სამღვდელოება მშრომელ და ღარიბ ხალხს აწევს კისერზეო“.

3) მე ვსთქვი: „ქურდობა-ავაზაკობა და სხვ. ნიშანია წაბილწვისა და გარყვნილებისა“,—ბ. „სიტყვა“-მ კი მათქმევინა: „დღევანდელს უბედურებას შეადგენს ქურდობა-ავაზაკობა და სხვ.

ბ. „სიტყვა!“ თქვენ ჩემ „სიტყვა“-ს არსებითად შეეხეთ თუ „ფორმალურად“?

მღვ. კ. ცინცაძე.

შენიშვნა მ. კ. ცინცაძის წერილის გამო

არც მქონია და არცა ახლა მაქვს აზრად გამოვედავო მამა ცინცაძეს. ძალიანაც რომ მინდოდეს, ეს ჩემთვის, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, მოუხერხებელია...

1) მამა ცინცაძის საჩივრის პირველის მუხლის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ, მართალია, შეცდომით მოვიყვანეთ იმისი სიტყვები. წერის დროს სიჩქარისა გამო, უნებური შეცდომა მოგვივიდა; მართალია, უნდა გვეთქვა: ცრუ-განათლებულნი ზნეობას აღიარებენ მხოლოდ ხალხისათვის.

2) რაც შეეხება მეორე მუხლს, მ. ცინცაძის სიტყვა ასეა დაბეჭდილი გაზეთში (რომლითაც მე ვსარგებლობდი): „ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რჩენა ამ განათლებით უკან ჩამორჩომილის სამღვდელოებისა,—ცრუ განათლებულთა აზრით, დახავსებულ დაწესებულებას მსახურთა, მუქთა მჭამელთა და ხორც მეტთა,—დაეკისრა მშრომელ და შედარებით ღარიბ ხალხს“.

გ) მესამე მუხლს სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ისე ვსთქვათ, როგორც მამა ცინცაძე ამბობს, შეიძლება —ისე, როგორც მე ვამბობ: აზრი მაინც ერთი იქნება.

საზოგადოდ, ვიმეორებ, მე აზრადაც არ მქონია მ. ცინცაძის მიერ წარმოთქმულის სიტყვის მუხლად-მუხლად გარჩევა. ჩემთვის საკმარისი იყო მის სიტყვის საერთო ხასიათი, დედა-აზრი, მიმართულება. და ამ მხრივ რომ მართალს ვამბობდი ჩემს ფელეტონში, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან კიდევ ერთს ადგილს მ. ცინცაძის სიტყვიდან: „ცრუ განათლებულთა აზრების გავრცელების გამო დღეს სიბილწე და გარყვნილება ჩვენს ხალხში იმ ზომამდე მივიდა, რომ თამამად შეგვიძლიან წმ. მოციქულთან ერთად ვსთქვათ: სოფელი ჩვენი ბოროტსა ზედა სდგას“.

განმარტება მეტია!

სიტყვა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 იანვარი

პეკინი (რეიტ. საგ.“) იმპერატორმა უარჰყო იუანშიკაის თხოვნა. იუანშიკაი თხოულობდა შტაბის უფროსის თანამდებობისაგან განთავისუფლებას.

ვენა. ბელგრადიდან გაზეთები იუწყებიან: რადგან საფინანსო კომიტეტმა რამდენიმე საფინანსო კანონ-პროექტი არ მიიღო, ამიტომ გრუიჩის კაბინეტმა თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

ბუენოს-აირესი („რეიტ. საგ.“). აჯანყებულებმა მონტევიდეოსთან მთავრობის ჯარი დაამარცხეს. აჯანყებულთ 5 ათასი კაცი ჰყავანდათ. ყველგან პარტიზანული ომია. საქმეები შეჩერებულია.

ლონდონი. („რეიტ. საგ.“). ლორდთა პალატა. რადგესაც გაიმართა კამათი სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესის გამო, ლორდი სპენსერი რამდენჯერმე შეეკითხა მთავრობას. პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრმა ლანსდოუნმა. სპენსერს უნდოდა გაეგო, რომელ უფლების დარღვევა თხოულობდა ისეთ სწრაფს დასჯას, რომ ამ მოუხერხებელს დროს ინგლისმა თავის ჯარი ტიბეტს გაგზავნაო. ლანსდოუნმა გამოაცხადა: ექსპედიცია სამხედრო კი არ არის, პოლიტიკურია და იმისთვის გავგზავნეთ, რომ უეჭველად დავითანხმოთ ისინი, რომელნიც ყოველთვის არღვევდნენ მეგობრულ ვაჭრობისთვის დადებულს პირობებს და ხელშეკრულებასაო. „ჩვენ ტყუილად ვეძებდით ჩინეთის დახმარებას. ჩინეთის დელეგატი, რომელიც ამ საქმის მოწესრიგებისთვის იყო განზრახული, პეკინიდან 1902 წ. დეკემბერს წავიდა, მაგრამ ჯერ ისევ გზაში იმყოფება“.

ჩიფუ („რეიტ. საგ.“). ინგლისი ვეი-ხაი-ვეის სიმაგრეს სტოვებს და წასასვლელად ემზადება. გემებს ვეი-ხაი-ვეიში დამზადებული სამხედრო მასალა მიაქვთ.

ტოკიო („რეიტ. საგ.“). სამინისტრო დათანხმდა, პალატის დეპუტატთა საგანგებო კრებამდე (აპრილში მოხდება) გადასდოს განზრახულ სამხედრო გადასახადის შემოღება.

ვლადივოსტოკი. ზღვაში მდგომ სამხედრო გემებს დღეს შავად შეჰღებავენ.

პარიზი. ბევრმა ეპისკოპოსმა თანაგრძნობა გამოუცხადა პაზიზას, ლაონისა და რეიმსის არქიეპისკოპოსთა პროტესტს. პროტესტის გამოცხადებაზე მხოლოდ ლიონის ეპისკოპოსმა სთქვა უარი.

ბერლინი. გუბერნატორ ლეიტვეინის დეპეშა ჰმოწმობს, რომ ბონდელცვარტთა ტომის აჯანყებულები დამორჩილდნენ, იარაღი დაჰყარეს და წინამძღოლნი გასცეს.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში მცხოვრები იაპონელები—ვაჭრები, ხელოსნები და მოსამსახურენი—საწრაფოდ მიდიან, განსაკუთრებით მათთვის ინგლისის მიერ დაქირავებულ გემ „აფრიდის“-ით.

ბორისოგლებსკი. ქალაქის საბჭომ მოსწავლეთა საზოგადოების თხოვნა უარჰყო. ეს საზოგადოება ყმაწვილების აღზრდისთვის დახმარებას თხოულობს.

22 იანვარი

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ელისავეტინსკი ინსტიტუტში იყო.

ქალაქის მთავრად დელიანოვი აირჩიეს.

ბერლინი. რეიხსტაგმა მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი, ერთის წლით კიდევ დარჩეს კანონი შესახებ ჯარის რიცხვისა მშვიდობიანობის დროსაო.

ნოვოჩერკ[illegible]კი. დონის თავად-აზნაურთა მორიგი კრება [illegible]ხსნა.

მოსკოვი [illegible]უბერნიო საერობო კრებამ გადასწყვიტა, [illegible]ების წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რომ [illegible] მიეცეთ ყოველ წლივ საერობო დასაზღვევ[illegible]ოგადოებათა წარმომადგენლების კრება მოახდინონ.

პეტერბურგის ბირჟა, 20 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,10	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,90	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,72½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	—	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	312	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	214	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქირავდება

დუქანი დიდუბეში, ანდრეევის ქუჩაზე, ტერ-დავიდოვის სახლში. დუქანი შეიძლება ეჭირონ მხოლოდ დერციკმა, ჩარაზმა და ალაფმა. იკითხეთ იმავე სახლში იაგორ მამალაძე. (1—36—1)

თმის საღებავი

ნიგვზის

ექსტრაქტიდან

№ 4711

პალარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა

მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—5)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Дозв. ценз. Тифлисъ 23 января 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ასა. (Эл[illegible] Издат. Т—в